EAST EUROPEAN UNIVERSITY

მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა

დამტკიცებულია: რექტორის

ბრძანება 67/01-08, 27.12.2019

განხორციელდა ცვლილება: რექტორის ბრძანება 13/01-01, 27.07.2020

შინაარსი

1. შესავალი
2. მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის ძირითადი ასპექტები და მექანიზმები
3. სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება
4. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება
5. ფინანსური და ეკონომიკური მაჩვენებლების შეფასება
6. სტრუქტურული ერთეულების მიერ საკუთარი ამოცანებისა და პერსონალის მიერ სამუშაოს შესრულების მენეჯმენტის შეფასება
7. სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების შეფასება
8. მართვის ეფექტიანობის შეფასების ინსტრუმენტები, პროცესი და შედეგების გამოყენება
9. დოკუმენტაცია
10. რეფერირება

შესავალი

მართვის ეფექტიანობა **EEU- ს** წარმატებისა და მისი კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. რომელიც მოიცავს ინსტიტუციის მართვის რელევანტურ შედეგზე და პროგრესზე ორიენტირებულ მექამიზმების გამოყენებას, პროცესების დაგეგმვის, მონიტორინგის, შფეასების, განხილვის, რაგირებისა და გაუმჯობესების უწყვეტ ცილკს.

EEU ისწარაფვის მდგრადი წარმატების მისაღწევად. ინსტიტუციის სტრატეგიული კურსის იმპლემენატაციის მიზნებისთვის უნივერსიტეტში მართვის ეფექტიანობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვან დატვირთვას იძენს: უნივერსიტეტმა უნდა გაამართლოს საკუთარი სტუდენტებისა და პერსონალის მოლოდინები. გაზრდილი კონკურენციის კვალ და კვალ ინსტიტუციის მდგრადობის გაზომვის ერთ-ერთი ინდიკატორი მართვის ეფექტიანობაა, რომელიც მიიღეწვა: სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების იმპელმენტაციით, თანამშრომელთა საქმიანობის შესრულების ეფექტინი მენეჯემნტით, სტუდენეტების, პერსონალისა და სხვა დაინტერესებული პირების მაღალი კმაყოფილების ხარისხით; ინსტიტუციის ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე დოკუმენტი ეხება ინსტიტუციის მართვის ეფექტიანობის შეფასებასა და მონიტორინგს. იგი მოიცავს ეფექტური და ეფექტიანი მართვის სისტემის დაგეგმვის, განხორციელების, ანალიზის, შეფასებისა და გაუმჯობესების ძირითად პრინციპებს, მექანიზმებს, ინსტრუმენტებსა და პროცედურებს.

წინამდებარე დოკუმენტში დეკლარირებული მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმების და პროცედურების ერთობლივი გამოყენებით უნივერისტეტმა უნდა უზრუნველყოს ინსტიტუციის მართვის ეფექტიანობის გაზომვა, შეფასება და გაუმჯობესება, რომელიც ემსახურება უნივერისტეტის მისიის და მთავარი სტრატეგიული კურსის- **მდგრადი წარმატების მიღწევას.**

ეს დოკუმენტი შექმნილია ეროვნული და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის, ინსტიტუციაში დანერგილი მართვის მექანიზმების იმპლემენტაციის შედეგების შეფასების გაანალიზების საფუძველზე, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინაციითა და სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით.



მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის ძირითადი ასპექტები და მექანიზმები

EEU-ში მართვის ეფექტიანობის მონიტორინგი ხორციელდება შემდეგი მიმართულებით :

- **ინსტიტუციური დონე - ფასდება:** რამდენად იქნა მიღწეული სტრატეგიული გეგმით დასახული მიზნები, დადგენილი ინდიკატორების, ვადებისა და განსაზღვრული რესურსების შესაბამისად; უნივერისტეტში დანერგილი შიდა ხარისხის მექანიზმების ეფექტიანობა; ეკონომიკური ეფექტურობა და ფინანსური მაჩვენებლები.
- **სტრუქტურული ერთეულების დონე - ფასდება**: თითოეული სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის შედეგები და პერსონალის მიერ სამუშაოს შესრულების ეფექტიანობა;
- **დაინტერესებული პირების დონე - ფასდება:** სტუდენტების და პერსონალის კმაყოფილების დონე უნივერსისტეტში არსებული მართვის სტილით, სერვისებითა და სხვა და სხვა საკითხებით რაც გავლენას ახდენს უნივერსიტეტის მართვის სისტემის ეფექტიანობაზე.

EEU - ში მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისთვის დადგენილია **მექანიზმები,** რომლის გამოყენებითაც დგინდება **დაცულია თუ არა დადგენილი პროცედურები და რამდენად ეფექტური და ეფექტიანია დამდგარი შედეგი.**

EEU - ში მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისთვის დადგენილი მექანიზმები ფარავს უნივერსიტეტის ეფექტიანი მართვის მისაღწევად ყველა ასპექტსა და წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- **უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება;**
- **ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება;**
- **ფინანსური და ეკონომიკური მაჩვენებლების შეფასება;**
- **სტრუქტურული ერთეულების მიერ საკუთარი ამოცანებისა და პერსონალის მიერ სამუშაოს შესრულების მენეჯმენტის შეფასება;**
- **სტდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების შეფასება**

EEU-ში მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისთვის დადგენილი მექანიზმების გამოყენება ხდება წინასწარ განსაზღვრული ინსტრუმენტებითა და დადგენილი პროცედურებით, რომელიც დაფუძნებულია PDCA მუდმივი შეფასებისა და გაუმჯობესების ციკლზე.



უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება

უნივერსიტეტის საქმიანობის მონიტორინგისა და შეფასების პროცედურა წარმოადგენს უნივერსიტეტისა და მისი ძირითადი სტრუქტურული ერთეულების მეერ მიღწეული შედეგების ანალიზის ეფექტიან ინსტრუმენტს, რომელიც შესაძლებლობას იძლევა პერიოდულად შეფასდეს და/ან გაიზომოს, აღწევს თუ არა უნივერსიტეტი დასახულ სტრატეგიულ მიზნებსა და შედეგებს.

სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასებაში ასახული უნდა იყოს უნივერსიტეტის თითოეული სტრუქტურული ერთეულის მიერ კონკრეტული ღონისძიების ობიექტური და კრიტიკული შეფასება. შეფასების პროცესის წარმატებით განხორციელებისათვის შემუშავებულ უნდა იქნას შეფასების კრიტერიუმები და ინდიკატორები.

სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება არის პროცესი, რომლის საფუძველზე დადგინდება:

- **სტრატეგიის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების ეფექტიანობა და გამოვლინდება კონკრეტული ხარვეზები და გამოწვევები მათი განხორციელების პროცესში.**
- **სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულების ხარისხი.**
- **სტრატეგიული გეგმის გავლენა უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხზე.**

უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები წელიწადში ერთხელ, სასწავლო წლის დასრულების შემდეგ, წარუდგენენ ანგარიშს სტრატეგიული განვითარებისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ ძირითადი ინდიკატორების, ვადებისა და სამიზნე ნიშნულების მიხედვით.

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის ანგარიშის შეფასების შედეგები და მისგან გამომდინარე რეკომენდაციები განიხილება უნივერისტეტის წარმომადგენლობით საბჭოზე. საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება გეგმებში საჭირო ინტევბენციების განხოცილების შესახებ.

სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის პროცედურის განხოციელება უზრუნველყოფილია „უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მეთოდოლოგიის“ დოკუმენტის შესაბმისად.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება

მართვის ეფექტიანობის მიზნებისათვის უნივერისტეტში ხდება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება.

შეფასების მიზანია დადგინდეს/დადასტურეს:

- **ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალობა, ასევე მეაქანიზმების შესახებ დანიტერესებული მხარეების ინფორმირებულების დონე;**
- **გამოკითხვებში მონაწილე დაინტერესებული მხარეების ანონიმურობის დაცულობა;**
- **ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელების შედეგზე ორიენტირებულობა;**
- **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციებზე დროული და ეფექტიანი რეაგირება;**
- **დაინტერესებული მხარეების კმაყოფილება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობით;**
- **ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში დაინტრესებული მხარებიის მაღალი ჩართულობის უზრუნველყოფა.**

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობა ფასდება არანაკლებ წელიწადში ერთხელ, სასწავლო წლის დასრულების შემდეგ. ასევე, საჭიროებისამებრ.

შეფასების მექანიზმად შესაძლოა გამოყენებული იქნას: გარე შეფასების შედეგები - ავტორიზაციის/აკრედიტაციის სტანდარტებთან სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტთა შეფასებები. მოწვეული ექსპერტების (ადგილობრივი/საერთაშორისო) განმავითარებელი შეფასებები; დაინტერესებული მხარეების მიერ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება სპეციალური გამოკითხვის მეშვეობით.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების შედეგებს განიხილავს წარმომადგენლობითი საბჭო და იღებს გადაწყვეტილებას ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებზე.

ფინანსური და ეკონომიკური მაჩვენებლების შეფასება

მართვის ეფექტიანობის მიზნებისათვის ხდება უნივერსიტეტის ფინანსური/ეკონომიკური ეფექტიანობის ანალიზი.

უნივერსიტეტის ფინანსური/ეკონომიკური ეფექტიანობის ანალიზს უზრუნველყოფს საფინანსო საკითხებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად, არანაკლებ სასწავლო წლის დასრულების შემდეგ. ასევე საჭირეობისამებრ.

ეკონომიკური ეფექტურობის შეფასების მიზნებისთვის განიხილება ყველა ის მიმართულება, რომელიც ეკონომიკურად არ არის მომგებიანი უნივერსიტეტისთვის და ხდება ანალიზი არამომგებიანი მიმართულების მომგებიანად გარდაქმნის შესაძლებლობის შესახებ. ასევე, არამომგებიანი მიმრათულების საქმიანობის შეჩერების ან და გაუქმების ნეგატიური გავლენა უნივერისტეტის ეკონომიკურ ეფექტიანობაზე.

ფინანსური მაჩვენებლის შეფასების მიზნებისთვის განიხილება უნივერისტეტის მიერ გაწეული ხარჯები და მიღებული შემოსავლები. იდენტიფიცირდება მიმდინარე წლის მანძილზე უნივერისტეტის გაუთვალისწინებელი ხარჯები, და დგინდება შესაძლო რისკები, რომელიც მომდევნო წლის ბიუჯეტში უნდა იქნას გათვალისწინებული.

უნივერსიტეტის ფინანსური/ეკონომიკური ეფექტიანობის ანალიზი ეხმარება ინსტიტუციას მდგრადი ფინანსური პოლიტიკის გატარებაში, რაც განაპირობებს უნივერსიტეტის შემოსავლების ზრდის დინამიურობას და ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის შენარჩუნებასა და განვითარებას.

სტრუქტურული ერთეულების მიერ საკუთარი ამოცანებისა და პერსონალის მიერ სამუშაოს შესრულების მენეჯმენტის შეფასება

მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ინდიკატორია თითოეული ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულისა და ფაკულტეტების საქმიანობის შედეგი - შეასრულდა თუ არა სტრუქტურულ ერთეულებზე დაკისრებული ამოცენები და ფუქნციები სრულად.

სტრუქტურული ერთეულების მართვის ეფექტიანობის მონიტორინგი დაფუძნებულია ანგარიშგების პრინციპზე. ყველა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები საანგარიში პერიოდის დასრულების შემდეგ წლიურ ანაგრიშს წარუდგენენ მათ ზემდგომებს (რექტორი ან და ვიცე-რექტორები).

ფაკულტეტის დეკანი საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ წლიური ანგარიშით წარსდგება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, ხოლო მათგან მიღებული უკუვშირის შედეგად ფაკულტეტის საქმიანობის შესახებ წლიურ ანგარიშს წარუდგენს რექტორს. ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილ ანაგრიშში აღიწერება და ფასდება ფაკულტეტის მიერ შესრულებული საქმიანობისა და მიღწეული შედეგები (სწავლა-სწავლების, კვლევითი, საზოგადოებრივი კონტრიბუციის, ინტერნაციონალიზაციის, სტუდენტური სერვისების მიმართულებით).

უნივერსიტეტში მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მიზნებისათვის სტრუქტურული ერთეულებისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულების კვალ და კვალ, მიშვნელოვანია თითეოული თანამშრომლის, ინდივიდუალურ დონეზე შესრულებული სამუშაოს და პროგრესის მონიტორინგი.

სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები ორიენტირებულნი არიან საკუთარ დაქვემდებარებაში მყოფმა თანამშრომლებმა უზრუნველყონ შედეგების მიღწევა, აკვირდებიან ინდივიდუალურ და გუნდურ დინამიკას, რომელიც გავლენას ახდენს სამუშაო გარემოზე. ეს ურთიერთ ქმედითი პროცესია, სადაც თანამშრომელი და მენეჯერი ადევნებენ თვალყურს თანამშრომლის განვითარებასა და მუშაობას. საჭიროების შემთხვევაში, შეცვლილი გარემოებების საპასუხოდ. მენეჯერი უზრუნველყოფს თანამშრომლის ფუნციებში ინტერვენციები მისი პროდუქტიულობის გაზრდისა და კონკრეტული გამოწვევების საპასუხოდ. მენეჯერი და თანამშრომელი აანალიზებს თანამშრომლის მიღწევებსა და

სტანდარტებს, რომლიც მისთვის იქნა დადგენილი. შესრულებული სამუშაოს ანალიზისას ხდება გათვალისწინება, თუ ახალი რა შეისწავლა დასაქმებულმა და როგორ შეიძლება მისი ცოდნისა და უნარების ეფექტურად გამოყენება დასაქმებულის მიერ დაკავებულ პოზიციაზე, ასევე სად შეიძლება მისი როტაცია/დაწინაურება.

თანამშრომელთა მიერ შესრულების მენეჯმენტის მნიშვნელოვანი კომპონენტია თანამშრომლების მუშაობის გაუმჯობესება და ამის ეფექტურად შესრულება შესაძლებელია მხოლოდ იმ მიზეზების გააზრებით, თუ რატომ არ მუშაობენ თანამშრომლები ოპტიმალურ დონეზე. ეს შეიძლება იყოს მართებული მიზეზები, რომელთა გადაწყვეტა და აღმოფხვრა მთავარია საკითხის გადასაჭრელად თანამშრომლების შეცვლის გარეშე. მენეჯერებმა უნდა უზრუნველყონ თანამშრომლებთან ღია განხილვები, ამასთან მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობის, სამუშაო პრიორიტეტებისა და მოლოდინის შესახებ მკაფიო მითითება თანამშრომლის მიღწევებთან დაკავშირებით, ასევე პასუხისმგებლობის დაცვა ყველა საქმიანობაში.

თანამშრომლების სამუშაოს შესრულების მენეჯმენტის შეფასების შედეგები აისახება უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობის შეფასების ანგარიშში, რომლის განხილვასა და მასზე რეაგირებს უზრუნველყოფს უნივერსიტეტის რექტორი და წარმომადგენლობითი საბჭო.

სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების შეფასება

უნივერსიტეტი ფოკუსირებულია დააკმაყოფილოს სტუდენტებისა და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების საჭიროებები და მოლოდინები.

გამომდინარე აქედან, მართვის ეფექტიანობის შეფასებისას მხედველობაში მიიღება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული შიდა კვლევების შედეგები - სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების დონე უნივერსიტეტის მართვის სტილით, სტრუქტურების დროული რეაგირებით, სტრუქტურებს შორის შიდა კომუნიკაციით. გადაწყვეტილების მიღების პროცესში თანამონაწილოების შესაძლებლობებით.

სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების კვლევის მიზანია დააიდენტიფიციროს შიდა საუნივერსიტეტო გარემოს გამოწვევები.

კმაყოფილების კვლევის პროცედურის იმპლემენტაციასა და შედეგების ანალიზს უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

კვლევების შედეგების გაანალიზება დაეხმარება უნივერსიტეტს უზრუნველყოს ეფექტიანი მართვის პროცესების იმპლემენტაცია, რაც თავისათავად დადებითად აისახება უნივერსიტეტის ინსტიტუციურ განვითარებაზე.



EEU- ს მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა

მართვის ეფექტიანობის შეფასების ინსტრუმენტები, პროცესი და შედეგების გამოყენება

განმსაზღვრელი შიდა მარგულირებელი ჩარჩო	ეფექტიანობის მიღწევა	ეფექტიანობის შეფასების ინსტრუმენტები
▪ უნივერსიტეტის მისია; ხედვა; სტრატეგიული დოკუმენტები; ▪ უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა; ▪ ფინანსური მაჩვენებლები; ▪ საუნივერისტეტო რეგულაციები; ▪ უნივერსიტეტის ბიუჯეტი; ▪ დაგეგმილი პროექტ(ებ) ▪ ფაკულტეტის და სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო გეგმები.	▪ სტრატეგიული გეგმების, მიზნების და ამოცანების შესრულება; ▪ მისიის აღსრულება; ▪ ფინანსური ეფექტიანობა; ▪ ეკონომიკური მოგება; ▪ უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცან(ებ)ის შესრულება; ▪ სტრუქტურული ერთეული სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობ(ებ)ის/ამოცან(ებ)ის შესრულება; ▪ რესურსების ეფექტიანი გამოყენება. ▪ ფაკულტეტის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულება; ▪ ფაკულტეტის დაგეგმილი აქტივობების შესრულება პრიორიტეტების შესაბამისად	▪ შესრულების ძირითადი ინდიკატორები; ▪ სამიზნე ნიშნულები; ▪ სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის შედეგები; ▪ გამოყენებული რესურსების ამოცანასთან შესაბამისობა; ▪ დროის ჩარჩოს შეფასება; ▪ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა კვლევები/შეფასებები; ▪ ფინანსური ეფექტიანობის ანალიზი; ▪ ინტერნაციონალიზაციის შეფასება; ▪ გარე შეფასება. ▪ ფაკულტეტის ფინანსური ეფექტიანობის შეფასება.

მართვის ეფექტიანობის შეფასების ეფექტურობისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია არსებობდეს მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები- შესრულების ძირითადი ინდიკატორებითა და სამიზნე ნიშნულებით სხვადასხვა დონეზე.

მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის შედეგები გამოიყენება მართვის სისტემის, უნივერსიტეტის საქმიანობისა და მისი შედეგების უწყვეტი გაუმჯობესებისთვის.

მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის შედეგად, უნივერსიტეტში პერიოდულად იგეგმება ცვლილებები, რაც მიმართულია პროცესებისა და შედეგების გაუმჯობესებაზე, შემდეგ კი ხდება ცვლილებების შედეგებზე დაკვირვება.

მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის პროცესის კოორდინირებას უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. შედეგების გამოყენებაზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის რექტორი , რომელიც შესაბამისი ინტერვენციების გადაწყვეტილებას იღებს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ შედგების განხივლისა და შესაბამისი რეკომედნაციების, წინადადებების განსაზრვრის საფუძველზე.

მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის და შეფასების დოკუმენტაცია

EEU- ში მართვის ეფექტიანობის ინტეგრირებულია უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელ რეგულაციებში, რომელიც ერთიანდება შიდა მარგულირებელ ჩარჩოში და მოიცავს: მართვის ეფექტიანობის საკითხებთან დაკავშირებულ დებულებებს; წესებს, ინსტრუქციებს, პოლიტიკის დოკუმენტებს, სამოქმედო გეგმებს, პროცედურებს, სახელმძღვანელოებს, გზამკვლევებს და ერთაინობაში ქმნის უნივერისტეტში მართვის ეფექტიანობის მიღწევის სისტემას.

EEU-ში მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასების იმპლემენტაციისათვის შემუშავებულია:

- ✓ „უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მეთოდოლოგია“;
- ✓ „სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების ანაგრიშის ფორმა“
- ✓ „ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულების წლიური ანაგრიშის ფორმა“;
- ✓ „ფაკულტეტების წლიური ანგარიშის ფორმა“;
- ✓ „ვიცე-რექტორების წლიური ანგარიშის ფორმა“;
- ✓ „ხარისხის უზრუნველყოფის მექნიზმების შესაფასებლად სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვის ფორმა“;
- ✓ „სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების კვლევისთვის კითხვარები“;
- ✓ ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის პოლიტიკა“

ამასთან, დოკუმენტების „ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა“ და „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი გამოყენების პროცედურა“ იმპლემენტაცია ემსახურება უნივერსიტეტში მართვის ეფექტიანობის მიღწევასა და განვითარებას.

რეფერირება

წინამდებარე „მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექნიზმები და შეფასების სისტემა“ დოკუმენტზე იმუშავა უნივერსიტეტის ფარგლებში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინაციით. ჯგუფის შემადგელობაში წარმოდგენილი იყვნენ კომპეტენტური, ექსპერტული გამოცდილების მქონე პირები, რომელთაც აქვთ მრავალფეროვანი და მნიშვნელოვანი გამოცდილება სხვადახვა ინსტიტუციებში ეფექტიანი მართვის სისტემის შექმნისა და წარმატებით დანერგვის.

დოკუმენტზე მუშაობისას შესწავლილი და გაანალიზებული იქნა ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკა. დოკუმენტის შექმნისას გაზიარებულია უმეტეს წილად ბრიტანული უნივერსიტეტების მიდგომები. ასევე ორგანიზაციის მართვის ამერიკული მოდელი. დოკუმენტის ძირითადი პრინციპები დაფუძნებულია სტანდარტს ISO 21001:2018 საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემები (EOMS), ასევე დოკუმენტში ასახულია ჯგუფის წევრების კარგი გამოცდილება ორგანიზაციის მართვის სისტემის მოდელების დანერგვის.

გაანალიზებული და გაზიარებული მიდგომები დოკუმენტში კონსოლიდირებულია კონტექსტუალიზებული ადაპტირებული მიდგომით EEU-ს ორგანიზაციული მართვი სტილის გათვალისწინებითა და დაგროვილი გამოცდილებით მიღებული შედეგებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

EEU- ს მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა